თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

30.04.2024

N 1966

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ი. ჩიდრაშვილს

საქართველოს
რკინიგზა
1872-დან

თქვენი 2024 წლის 18 აპრილის N6/22182 წერილის პასუხად, ბორჯომის მუნუციპალიტეტის სოფელ ყვიბისში მდებარე 35 კვ.მ მიწის ნაკვეთის(ს/კ 64.22.07.513) პრივატიზების შესახებ გაცნობებთ რომ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ტერიტორია მდებარეობს მდინარის ნაპირას, რკინიგზის მიწის ვაკისის ფერდის მიმდებარედ და მასზე განთავსებულია მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზის ლითონის ანძა.
ვინაიდან არ არის მითითებული უძრავი ქონების სამომავლოდ გამოყენების პირობა, აუცილებელია მომავალი მესაკუთრის მხრიდან ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოების შემთხვევაში შენარჩუნებულ იქნას რკინიგზის მიწის ვაკისის ფერდის მთლიანობა და გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა სამუშაო პროცესზე სს „საქართველოს რკინიგზის" შესაბამისი პასუხისმგებელი პირის დასწრება. ასევე, აუცილებელია განხორციელდეს ზემოაღნიშნული ანძის ფუნდამენტის მდინარის გამორეცხვისგან დაცვა, (ახალი ფუნდამენტის მოწყობა, ძველის რეკონსტრუქცია, გამაგრება და ა.შ.).
ზემოაღნიშნული პირობების დაცვის შემთხვევაში, სს „საქართველოს რკინიგზა" არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ 64.22.07.513 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების განკრგვა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი
ნინო ჯორბენაძე